ტერმინები

ჯანდაცვის პერსონალი - ექიმები, ექთნები და სხვა კვალიფიციური ჯანდაცვის სპეციალისტები

B ჰეპატიტი - B ჰეპატიტის ვირუსით **(HBV)** გამოწვეული ღვიძლის დაავადება

C ჰეპატიტი - C ჰეპატიტის ვირუსით **(HCV)** გამოწვეული ღვიძლის დაავადება

აიკ - ვირუსი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი, ანუ შიდსი

ინიექცია - შპრიცის საშუალებით ორგანიზმში სითხის შეყვანა

IV - ინტრავენური ან „ვენაში“

ნემსი - ბასრი წვეტიანი საგანი, რომელიც გამოიყენება ინიექციისთვის ან ორგანიზმიდან სითხის ამოსაღებად

შპრიცი - ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სითხეების ორგანიზმში შესაყვანად ან მისგან ამოსაღებად

გადაცემა - გავრცელება, როგორც ინფექციის ერთი პაციენტიდან მეორეზე

ფლაკონი - პატარა კონტეინერი ან ბოთლი, რომელშიც წამალია მოთავსებული



უსაფრთხო ინიექციის პრაქტიკის კოალიცია

უსაფრთხო ინიექციის პრაქტიკის კოალიცია (SIPC) არის ჯანდაცვასთან დაკავშირებული ორგანიზაციების პარტნიორობა, რომელსაც ხელმძღვანელობს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები და რომელიც შეიქმნა აშშ-ს ყველა ჯანდაცვის დაწესებულებაში უსაფრთხო ინიექციის პრაქტიკის ხელშეწყობის მიზნით. SIPC-მ შეიმუშავა „ერთი და ერთადერთი“ კამპანია - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განათლებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანია - რომელიც მიმართულია როგორც ჯანდაცვის პროვაიდერებისთვის, ასევე პაციენტებისთვის, რათა ხელი შეუწყოს უსაფრთხო ინიექციის პრაქტიკის განვითარებას და პოპულარიზაციას.

გახდი აქტიური პარტნიორი შენი ჯანდაცვის სფეროში.

რა უნდა იცოდნენ პაციენტებმა

უსაფრთხო სამედიცინო ინიექციებზე





იცოდით?

ჯანდაცვის პერსონალის უმეტესობა უსაფრთხო ინიექციის პრაქტიკას იცავს. გაცილებით იშვიათად, თუმცა ზოგჯერ ეს ასე არაა. სამედიცინო პერსონალს შეუძლია გაავრცელოს ისეთი დაავადებები, როგორიცაა ჰეპატიტი B, ჰეპატიტი C და აივ ინფექცია, თუ ისინი განმეორებით იყენებენ საინიექციო მოწყობილობებს, როგორიცაა ნემსები და შპრიცები ერთზე მეტ პაციენტთან ან სხვადასხვა პაციენტებთან გამოყენებულ მრავალდოზიან ფლაკონებთან წვდომისთვის.



აი რა უნდა იცოდეთ უსაფრთხო ინიექციაზე

რა არის უსაფრთხო ინიექციის მეთოდები?

უსაფრთხო ინიექციების მეთოდები - ეს არის წესების ნაკრები, რომელსაც უნდა მიყვეს ჯანდაცვის პერსონალი ინიექციის შესრულებისას. მაგალითად, ჯანდაცვის პერსონალმა არ უნდა გამოიყენოს ერთი და იგივე შპრიცი ერთზე მეტ პაციენტთან, მაშინაც კი, თუ ნემსს გამოცვლის. კარგი წესია გახსოვდეთ - ***ერთი ნემსი, ერთი შპრიცი, მხოლოდ ერთხელ.***

რატომ არის უსაფრთხო ინიექციის მეთოდები ასე მნიშვნელოვანი?

ეს მეთოდები აღკვეთენ ისეთი დაავადებების გავრცელებას, როგორიცაა ჰეპატიტი B, ჰეპატიტი C და აივ ინფექცია.

ვინ უნდა იცოდეს უსაფრთხო ინექციის მეთოდების შესახებ?

ნებისმიერმა, ვინც იკეთებს ინიექციას ან ინტრავენურ თერაპიას, უნდა იცოდეს ამ მეთოდების შესახებ. ნებისმიერს (მაგალითად, ჯანდაცვის პერსონალს), ვინც აკეთებს ინიექციას ან ინტრავენურ თერაპიას, უნდა ესმოდეს და იცავდეს უსაფრთხო ინიექციების მეთოდს.

რა შეუძლიათ გააკეთონ პაციენტებმა იმისათვის, რომ იპოვონ საჭირო ინფორმაცია უსაფრთხო ინიექციის მეთოდებზე?

პაციენტებს შეუძლიათ გადადგან შემდეგი ნაბიჯები, იმისათვის, რომ გაიგონ მეტი უსაფრთხო ინექციის მეთოდებზე:

- ესაუბრეთ თქვენს მკურნალ ექიმს უსაფრთხო ინიექციის მეთოდებზე
- დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით საიტზე განთავსებულ ინფორმაციას ***www.cdc.gov/injectionsafety/1anonly.html***